აღთქმული მიწის მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა

ბიბლიური ქანაანი ანუ "აღთქმული ქვეყანა", დღევანდელი ისრაელი (ერეც ისრაელ) ბუნებრივად შემოზღუდული რეგიონია ახლო აღმოსავლეთში. იგი განსხვავდება შუამდინარეთისგან – ტიგროსისა და ევფრატის აუზისგან, ასევე ეგვიპტისგან, რაც აღნიშნულია კიდეც საგანგებოდ ძველ აღთქმაში: "ქვეყანა, სადაც თქვენ მიდიხართ დასამკვიდრებლად, არა ჰგავს ეგვიპტის ქვეყანას" (რჯლ. 11:10), დაზუსტებულიც არის: "ის ქვეყანა, რომლის დასამკვიდრებლადაც გაღმა გადადიხართ, მთაგორიანი და ველებიანი ქვეყანაა და ციდან ნაწვიმები წყლით ირწყვება..." (რჯლ. 11:11), ამ ნიშნით განსხვავდება იგი მის დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე დიდი და ძველი ცივილიზაციის ქვეყნებისგან, სადაც მიწათმოქმედება ხელოვნურ მორწყვაზე, ირიგაციულ სისტემაზე იყო დამყარებული. ქანაანის მიწა არ ირწყვება, მიწის ნაყოფიერება წვიმებზეა დამოკიდებული. იქ მრავლად არის მშრალი ხევები, რომლებიც მხოლოდ სეზონერად ივსებიან წყლებით. ეს არის მიწა, რომელიც უფლის გამუდმებული ზრუნვის ქვეშაა და "უფლის თვალი ტრიალებს მასში" (რჯლ. 11:2). ეს ისეთი მიწაა, რომელიც მაღლიდან მოელის ცვარსა და წვიმას, როგორც უფლის წყალობას.

ქვეყნის ლანდშაფტი ოთხი ერთმანეთისგან განსხვავებული ელემენტის – მთის, ბარის, მდინარის ხეობისა და უდაბნოს – შეხამება და ერთობლიობაა. ქვეყანა მდებარეობს ზღვასა და უდაბნოს შორის და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ოთხ პარალელურ ზოლად იკვეთება:

1. ხმელთაშუაზღვისპირა დაბლობი, 2. დასავლეთის მთები ანუ ცენტრალური მთიანეთი, 3. იორდანის ხეობა, 4. იორდანისგაღმა ზეგანი (წიაღ-იორდანე).

განვიხილოთ თანამიმდევრობით:

1. ხმელთაშუაზღვისპირა დაბლობი, ზღვის სანაპირო ზოლი, 4 კმ-დან 40 კმ-დე სიგანისა, ფართოვდება სამხრეთის მიმართულებით, აღმოსავლეთით გადადის ციცაბო ბორცვებში. სანაპირო ზოლი სამხრეთის მიმართულებით ორ ნაწილად განიყოფება:

ა) შარონის ველი, სიგრძე - 50 კმ, სიგანე 14-20 კმ, მენაშეს ტომის სამკვიდროში, ძველად მუხნარით დაფარული; ვრცელდება ქარმელის მთიდან სამხრით იაფომდე (ძველი ნავსადგური ხმელთაშუა ზღვაზე), დაახლ. 80 კმ-ზე; ქარმელის მთა (551 მ) ჩრდილოეთის საზღვარია მენაშესა და აშერის ტომებს შორის (იესო, 19:26). მთელი მთა მწვანით არის დაფარული, მის წვერზე იზრდება მუხა და ფიჭვი, მის კალთებზე – ზეთისხილი და დაფნა. ქარმელიდან იშლება ხედი მეგიდოს დაბლობისა და იზრეელის ხეობისაკენ. აქ იყო, რომ ელია წინასწარმეტყველმა უღვთო მეფის აქაბისა და მთელი ისრაელის წინაშე შეარცხვინა ბაალის ქურუმები (3 მეფ. 18). ამიტომაც არაბები ქარმელს ელიას მთას უწოდებენ. ქარმელიდან ჩამომდინარე ხევებს შორის ყველაზე დიდია ელიას ხევი, რომელიც კიშონის ხევს უერთდება.

ბ) ფილისტიის დაბლობი, მეტად ნაყოფიერი და ადვილად დასამუშავებელი ნიადაგი, მჭიდროდ იყო დასახლებული ბიბლიურ ხანაში. აქ მკვიდრობდნენ ფილისტიმელები, ისრაელიანთა მტერ-მოყვარე მეზობლები. მათი ქალაქები იყო: ღაზა, აშკელონი, აშდოდი, ეკრონი, ბეთ-დაგონი, რომლებიც ძველი აღთქმის მნიშვნელოვან მოვლენებთან არის დაკავშირებული. ისინი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ სახელებს

ხმელთაშუა ზღვა ქვეყნის დასავლეთი საზღვარია. ამიტომაც სიტყვა "ზღვა" (ᾳამ) "დასავლეთის" აღმნიშვნელია ძველი აღთქმის ენაში.

იგი სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიება ბიბლიაში: "დიდი ზღვა" (ჰა-ᾳამ ჰა-გადოლ) და "უკანა ზღვა" (ჰა-ᾳამ ჰა-ახარონ).

2. დასავლეთის მთები, ლიბანის მთების გაგრძელებაა სამხრეთის

მიმართულებით, იგი პარალელურად გასდევს ზღვის სანაპირო დაბლობს – შარონს და ფილისტიას. მისი სიგანეა 35-80 კმ-ია.
იზრეელის ხეობა და მეგიდოს ველი ორ მხარედ ყოფენ მთაგრეხილს:

ა) მთიანი გალილეა (გალილ) ჩრდილოეთში. ზემო გალილეა და ქვემო გალილეა. მათ შორის მეგიდოსა და იზრეელის დაბლობებია, რომლებიც წყვეტილს ქმნიან ცენტრალურ მთიანეთში. აქ ხარობდა და ხარობს დღესაც ვაზი, ზეთისხილი, ნიგოზი. მდიდარია საძოვრებით. ყველაზე ნაყოფიერია ის ნაწილი დაბლობისა, რომელიც სამხრეთით სამარიას ესაზღვრება. ეს არის მეგიდოს ველი, რომელსაც რწყავს კიშონის ხევი, წვიმების სეზონში წყალუხვი და აბობოქრებული, სხვა დროს – თითქმის მშრალი. იგი ძველი აღთქმის უძველეს ტექსტში – დებორას სიმღერაშია ნახსენები ("კიშონის ხევმა წაიღო ისინი, ძველმა ხევმა, კიშონის ხევმა", მსაჯ. 5:21). მის აღმოსავლეთით: იზრეელის (ხეობა, მეტად ნაყოფიერი, მაგრამ ქვეყნის ისტორიაში საბედისწერო: ოსიას წინასწარმეტყველების თანახმად, აქ ისრაელისთვის დიდი მარცხი მზადდებოდა (ოს. 1:5; 2:2). ძველი აღთქმის ხანაში გალილეა ეჭირათ დანის, ნაფთალის, ზებულუნისა და ისაქარის ტომებს. აქ არის ცნობილი ისტორიული ქალაქები: უკიდურეს ჩრდილოეთში დანი, იზრეელი – ისრაელის (ჩრდილო სამეფოს) მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, ბეთ-შანი, მეგიდო... განთქმული მთები: იზრეელის ხეობის ჩრდილო ნაწილში ეულად, ნახევარსფეროდ აღმართული თაბორი (526 მ), მუხნარით, ზეთისხილით და სხვა ხეებით დაფარული – ზებულუნისა და ნაფთალის ტომებს შორის; გილბოას მთა, იზრეელის ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ისაქარის ტომის მიწა-წყალზე), საიდანაც გამოდის კიშონის ხევი. ამ მთაზე დაიღუპა ფილისტიმელთაგან ძლეული საული, ისრაელის ერთიანი სამეფოს პირველი მეფე (1მეფ. 31:1-5).

ამ ადგილებზე გადიოდა გზა ხმელთაშუაზღვის სანაპიროებიდან იორდანისგაღმა მხარეებისკენ.

თაბორის მთის (მის მახლობლად ნაზარეთია, ქრისტეს სოფელი), ჩრდილო-აღმოსავლით: გენისარეთის ტბა ანუ გალილეის ზღვა (ზღვის დონემდე 225 მ), რომელიც დასახელებულია ისრაელიანთა მიწა-წყლის აღმოსავლეთ საზღვრად (რიცხ. 34:11). ეს ტბა, თევზით მდიდარი (მისი წყალი ოდნავ მარილიანია), უფრო ახალი აღთქმის რეალიაა, ვიდრე ძველისა.

ბ) ცენტრალური მთიანეთი შედგება სამი მხარისგან:
სამარია (ებრ. შომრონ); აქ არის სიქემი (ებრ. შეხემ, შხემ), სადაც პირველად გაჩერდა აბრამი (აბრაამი) ქანაანში შემოსვლისას და ააგო პირველი სამსხვერპლო ამ ქვეყანაში; აქ შეკრიბა იესო ნავეს ძემ ისრაელიანთა უხუცესობა და ერთხელ კიდევ გაახსენა მათ ისრაელის ძეთა ისტორია პატრიარქთა ხანიდან მოყოლებული (იესო 24); დოთანი, აქ იყო, რომ გაყიდეს ძმებმა იოსები; ბეთილი (ძველი ლუზი) რომლებთანაც დაკავშირებულია პატრიარქების აბრაამისა და იაკობის ცხოვრება ქანაანში. აქ არის ორი მთა – გერიზიმი (868 მ) და ღებალი (938 მ), რომლებიც დაჰყურებენ მათ შორის მოქცეულ სიქემს.

ეს არის კირქვიანი მთები, რომელთა შორის ნაყოფიერი ველებია. მთის ფერდობებზე ზეთისხილი, ლეღვი და სხვა ხეხილი იზრდება, ველზე კი პურის ყანები და ვენახებია.

სამარიის სამხრით იწყება ეფრემის მთაგორები, რომლებიც ეფრემის ტომს ეჭირა. აქ იყო ძველი აღთქმის მნიშვნელოვანი საკულტო ადგილები – ბეთელი (ბეთ ელ "სახლი ღვთისა"), სადაც იაკობმა იხილა სიზმრად ციური კიბე; სილოამი (შილო), სადაც ესვენა ერთხანს რჯულის კიდობანი, ისრაელის უდიდესი სიწმიდე; ყოფრა, მსაჯულ გედეონის სამშობლო ქალაქი.

გ) იუდას მხარე. იგი არ არის მკვეთრად გამოყოფილი ეფრემის მთიანეთიდან. ეს არის ერთფეროვანი პირქუში მასა მთებისა, მწირი მცენარეული საფარველით. მაგრამ ისტორიულად ის ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი ისრაელის სხვა რეგიონებს შორის.
ეს მხარე იუდასა და ბენიამინის ტომებს ეჭირათ.

აღმოსავლეთით იუდას მთები უდაბნოში გადადის – ეს არის იუდას უდაბნო (სიგანე საშ. 20 კმ), რომელიც ეკვრის მარილიანი ზღვის

დასავლეთ სანაპიროს. მშრალი ხევები, კირქვიანი ნიადაგი, უკაცრიელი... აქ არის მაცადა, ებრაელთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე რომაელთაგან დასაცავად (ჩვ. წ. 73 წ. გატეხეს რომაელებმა), და ოაზისი ენ-გადი („თიკნის წყარო“). აქ ათვარებდა თავს საულ მეფისგან დევნილი დავითი; აქ დაიწყო ქადაგება იოანე ნათლისმცემელმა, აქ გამოიცდებოდა ეშმაკისგან იესო და აქ მარხულობდა ორმოც დღეს.

იუდას უდაბნოს ჩრდილოეთით გადაჭრის განთქმული კედრონის ხევი, რომელიც აღმოსავლეთით იერუსალიმს ჩაუვლის და ერთვის მარილოვან ზღვას.

იუდას მხარის მნიშვნელოვანი ისტორიული ქალაქებია იერუსალიმი (800 მ ზღვის დ-დან), ხებრონი (951 მ), ბეთლეემი (ებრ. ბეთ ლეხემ "სახლი პურისა"), სადაც ერთხანს ცხოვრობდა აბრაამი, სადაც დაიბადნენ მისი ძენი ისმაელი და ისაკი, და სადაც დავითი მეფობდა შვიდ წელს იერუსალიმში გადასვლამდე; და მის სამხრეთით – ბეერშება (ბე'ერ-შებაყ "შვიდი ჭა" თუ "ჭა ფიცისა"), საიდანაც იაკობის ოჯახი ჩავიდა ეგვიპტეში საცხოვრებლად.

კიდევ სამხრეთით გადაჭიმულია ნეგები – ტრამალი, რომელშიც შეჭრილია უდაბნო; ეს არის ქვეყნის უკიდურესი სამხრეთი საზღვარი. ტოპონიმი "ნეგებ" (ნეგევ) "სამხრეთის" აღმნიშვნელი სიტყვაა ძველი აღთქმის ენაში.

იუდას მთიანეთსა და ზღვისპირა დაბლობს (ფილისტიმელთა მხარეს) შორის არის გარდამავალი ზოლი შეფელა (ებრ. "დაბლობი") – მხარე ხორბლისა, ვენახებისა, ზეთისხილისა და ლეღვისა; ქალაქები: აიალონი, აზეკა.

3. იორდანის ხეობა ანუ ყარაბა (ებრ. „ტრამალი“). ცენტრალური მთიანეთის კალთები მკვეთრად ეშვება ამ ერთადერთი მოზრდილი მდინარის ხეობაში. მისი ნაკადები სათავეს იღებენ ხერმონის მთებში, მერე ჩაედინებიან ჰულეს ტბაში, საოდანაც გამოდის უკვე ერთიანი მდინარე და სწრაფი დინებით (ᾳარდენ ნიშნავს "ვარდნილს") 6 კმ-ზე უერთდება გენისარეთის ტბას, გამოდის აქედან მდორე დინებით და თანდათან ეცემა ზღვის დონეზე დაბლა (228 მ-დე) და ერთვის მარილოვან ზღვას (ᾳამ ჰა-მელახ) ანუ არაბას ზღვას (ᾳამ ჰა-ყარაბა), რომელიც მდებარეობს დაახ. 394-410 მ-ზე ზღვის დონეზე დაბლა. იორდანის სანაპიროს უმეტესი ნაწილი იმდენად ციცაბოა, რომ მისი წყალი გამოუყენებელია სარწყავად. აქ არის გილგალი (ებრ. "ბორბალი"), პირველი ადგილი, სადაც ფეხი დადგეს ისრაელიანებმა იორდანის გადმოლახვისას და სამახსოვროდ დაახვავეს მდინარის ფსკერიდან აღებული ქვები – თორმეტი ლოდი ისრაელის ტომთა რიცხვისამებრ (იესო 4); და იერიხონი – "პალმების ქალაქი" (რჯლ. 34:3), რომლის ბასტიონები ბუკისცემით დაანგრიეს ისრაელიანებმა (იესო 6); ეს იყო პირველი ქალაქი, რომელიც მათ დაიპყრეს აღთქმულ ქვეყანაში.

მარილოვანი ზღვის აღმოსავლით მდებარეობდა მოაბი (აბრაამის ძმისწულის ლოტის შთამომავლობა) თავისი სატახტოთი – კირ-ხარეშეთით, მის სამხრით კი – ედომი, იაკობის ძმის ესავის შთამომავალთა სამფლობელო.

4. იორდანისგაღმა მთიანეთი. ეს არის ზეგანი 1000-1500 მ სიმაღლეზე. გადაჭიმულია ხერმონის მთიანეთის მასივიდან სამხრით 400 კმ-ზე. აქ არის ჩრდილოეთით: ნაყოფიერი მხარე ბაშანი, ხერმონის მთასა და მდ. იორდანის მარცხენა შენაკადს იარმუკს შორის (სიგრძე 65 კმ, სიგანე 130 კმ-მდე). ბაშანი განთქმულია პურის ყანებითა და საძოვრებით (რჯლ. 32:14). ხშირია მისი ხსენება ძველ აღთქმაში: "დავაბრუნებ ისრაელს თავის საძოვარზე და იბალახებს ქარმელზე და ბაშანში; ეფრემის მთებში და გალაადში განცხრება მათი სული" (იერ. 50:19); ეზეკიელი ახსენებს ბაშანში გამოკვებილ საქონელს (ეზეკ. 39:18); განთქმული იყო მუხნარით (ეს. 2:13; ეზეკ. 27:6). "მთა ღვთისა, მთა ბაშანისა" (ფს. 67:16).

ბაშანის სამხრით: არანაკლებ უხვი გალაადი, მდ. იარმუკიდან ხეშბონის ღელემდე (100 კმ, სიგანე საშ. 50 კმ.). აქ მოდის პური, ღვინო, ზეთისხილი; განთქმულია მუხებითა და ფიჭვებით, განსაკუთრებით კი სურნელოვანი მცენარეებით ("ქარავანი მოდის გალაადიდან და მათ აქლემებს მოაქვთ გუნდრუკი, ბალსამონი და შტახსი, მოდიან რომ ეგვიპტეში ჩაიტანონ“, დაბ. 37:25).

იორდანისგაღმა მხარეში წვიმები ნაკლებად იცის, სამაგიეროდ იგი

ირწყვება ღელეებითა და ხევებით – იორდანეს მარცხენა შენაკადებით. მათ შორის მნიშვნელოვანია და ხშირად იხსენიებიან ძველი აღთქმის წიგნებში: იარმუკი, ქერეთის ხევი, მდინარე იაბოკი (რომელიც გადმოლახა ხარანიდან დაბრუნებულმა იაკობმა), არნონი, ზერედის ხევი. მთელი ეს ტერიტორია ეჭირათ ყამონელებსა და ამორეველებს, რომლებიც ისრაელიანებმა შეავიწროვეს. ეს მხარე ქვეყნის დანაწილებისას გადის და რეუბენის ტომებმა და მენაშეს ტომის ნახევარმა შეიხვედრეს, თუმცა ის აღთქმულ მიწის მიღმა მდებარეობს. აქ არის ნებოს მთა და მისი მწვერვალი ფისგა, იორდანიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე (იერიხონისა და გილგალის გასწვრივ), საიდანაც მოსემ გადახედა აღთქმულ მიწას, სადაც მას შესვლის ნება არ მიეცა უფლისგან.

მთელი ეს ტერიტორია, როგორც ის იხსენიება, "დანიდან ბეერშებამდე" ეგვიპტიდან ამოსულმა ისრაელის ტომებმა დაინაწილეს.

როცა ამ ქვეყნის ძველი მკვიდრი ხმელთაშუა ზღვისკენ ზურგშექცევით დგას, აღმოსავლეთი მისთვის "წინა მხარეა" – კედემ, ამიტომაც ამ სიტყვამ "აღმოსავლეთის" მნიშვნელობა შეიძინა. მის საპირისპიროდ "დასავლეთი" აღინიშნება სიტყვით "უკანა" – ახორ. აღმოსავლეთისკენ პირშექცეულისთვის სამხრეთი "მარჯვენა მხარეა" – ჲამინ ან თემან, ხოლო ჩრდილოეთი "მარცხენა" – სემ'ოლ.